ზურაბ კიკნაძე

ბაბილონის გოდოლთან

აღმოსავლეთში, ერთ გაშლილ ველზე, მოგვითხრობს ბიბლიური გადმოცემა, ადამის შთამომავალნი შედგომიან გოდოლის შენებას, რომლის წვერი ცას უნდა მისწვდომოდა. ღმერთს არ მოეწონა (ამას თავისი ღრმა მიზეზი ჰქონდა) განზრახვა ადამის ძეთა, რომლებიც მაშინ ჯერ ერთიან კაცობრიობას შეადგენდნენ და, როგორც ბიბლია ამბობს, ერთ ენაზე მეტყველებდნენ, და ჩამოაგდო ღმერთმა მათ შორის სული გაუგებრობისა, მათაც ზურგი შეაქციეს ურთიერთს და ქვეყნის ოთხივ კუთხისაკენ გაიფანტნენ. რას გვამცნობს ეს გადმოცემა? იგი გვამცნობს არა მხოლოდ ამბავს ხალხთა დასაბამიერი ერთიანობისა, რაც თავისთავად ცხადი ჭეშმარიტებაა, არამედ იმასაც, რომ საკაცობრიო ცივილიზაციის აკვანიც ერთია და ის დაუმთავრებელი გოდოლი სიმბოლურად მიგვანიშნებს ამ დასაბამიერ ერთიანობაზე. აქედან ცხადი უნდა იყოს, რომ ის საერთო, რაც უდიდეს ცივილიზაციებში შეინიშნება, ამ გოდოლის ძირიდან არის წამოღებული. ღვთის განგებით მოხდა ისე, რომ ერთ ძირზე აღმოცენებული კაცობრიობა ცალკეულ რასებად, ხალხებად, ტომებად უნდა განშტოებულიყო და თითოეულ მათგანს სხვისაგან დამოუკიდებლად ეშენებინა თავისი გოდოლი.

კაცობრიობა თანდათან შორდება პირველსაწყისს და იქიდან წამოღებული თესლი ითესება ახალი ცის ქვეშ, ახალ ნიადაგზე, საიდანაც აღმოცენდება ახალი თავითავადი ნაყოფები. ეს არის გაგრძელება "მას ჟამსა შინა" შეწყვეტილი შენობისა უკვე განშტოებულ, გაწვალებულ კაცობრიობაში, რომელიც აღარ შეადგენს ერთ სხეულს და არ მეტყველებს ერთ ენაზე, აღარ არის ერთხმა ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით.

თუ გოდოლს, რითაც დავიწყეთ, მივიჩნევთ კულტურისა თუ ცივილიზაციის სიმბოლოდ, – სინამდვილეში ასეც არის შუამდინარეთის მაგალითზე: ბაბილონის გოდოლი ხომ მართლაც ძველი მესოპოტამიის (შემურ-აქადის) მთელს სულიერ-ნივთიერ კულტურას განასახიერებს, - შეიძლება ასეთი ხატი წარმოგვიდგეს თვალწინ: ტრიალ მინდორზე მდგარი ის გოდოლი, აღუშენებელი, დანგრეული არის არა მხოლოდ დასტური იმ ერთიანი კაცობრიობის აქტიური მყოფობისა ამ ადგილას, არამედ ცდაც, თუმცა წარუმატებელი, იმ უფსკრულის ამოვსებისა, რომელიც გაჩნდა ადამიანსა და ღვთიურ სამყაროს შორის. ამავე დრის ადამიანი აქ აშენებდა ნიშან-სვეტს იმისათვის, რომ დედამიწის ზურგზე არ გაფანტულიყო (იხ. დაბადება, 11:4). იგი ცადასვლასაც ლამობდა, და მიწაზე გამაგრებაც სურდა. რასაც ის მიწაზე ქმნიდა, მისი სულის გამოვლინება იყო - სულიერი ღვაწლის ნიშანი ნივთიერებაში. ადამიანი ცდილობდა მოეწყო თავისი საცხოვრებელი, მთელი თავისი ყოფა ადამიანურად, თავისი ბეჭედი დაესვა გარემოზე, გაეკაცრიელებინა თავისი წილხვედრილი მიწა-წყალი. ის, რასაც ჩვენ კულტურის სახელით ვიცნობთ, არის განფენა ადამიანის სულისა გარე სამყაროში: შინაგანის გარეთ გამოტანა და მისი აღბეჭდვა გარე სამყაროში.

რა არის კულტურა? ცივილიზაცია? სად ძევს მისი საწყისები? მისი წარმოშობა ისევე იდუმალებით არის მოცული, როგორც წარმოშობა ადამიანისა, რომელიც ქმნის მას, თან ატარებს მას, ცხოვრობს მასში, ინახავს და გადასცემს მას თუნდაც არაცნობიერად. როგორც კერძო კაცი, მაგრამ წარმომადგენელი ერთი კონკრეტული საზოგადოებისა, რომელიც თავისთავად მთლიანი კაცობრიობის ხატის ამსარკველია თავის კერძოობაში.

მაგრამ როგორც ინდივიდუალურ-პიროვნულია ადამიანის სული და ამიტომაც არის შესაძლებელი შემოქმედება ანუ ახლის ქმნა ანუ სიახლის შემოტანა წუთისოფლად და არა განმეორება უკვე შექმნილისა, ასევე ვრცელი მასშტაბით, ყოველი კულტურა თუ ცივილიზაცია (ამჯერად არ განვასხვავებთ ერთმანეთისაგან ამ ორ მოვლენას) ინდივიდუალურია და თავისი განუმეორებელი სახე აქვს. ფართო აზრით, კულტურა კაცობრიული შემოქმედებაა და ატარებს თავისი შემქმნელი კაცობრიობის განუმეორებელი სულის ნიშანს. ეს კულტურა ამ კაცობრიობას ეკუთვნის როგორც მისი შემოქმედება, და სხვაგან სხვადასხვა დროს იგი არ განმეორდება. ამბობენ, სტილი თავად ადამიანია, სტილში ჩანს ადამიანიო. ასევე ყოველ კულტურას თავისი სახე აქვს და მასში ჩანს მისი შემქმნელი ხალხის, კაცობრიობის ერთი ნაწილის, განუმეორებელი გამომეტყველება, განუმეორებელი მსოფლგანცდა - საკუთარი სარკმელი სამყაროში.

სასჯელი

რა არის მაინც კულტურა, ცივილიზაცია?

იყო თუ არა ჟამი, პერიოდი კაცობრიობის ისტორიაში, როდესაც ამ ცნებაში ნაგულისხმევი ფაქტი არ არსებობდა?

კულტურის პრობლემა გარკვეული აზრით ადამიანის პრობლემაა. კულტურა არის რეალიზაცია იმ უნართა და მოთხოვნილებათა, რომლებიც იმთავითვე მისი გაჩენისთანავე ჩადებულია მის ბუნებაში. ადამიანი არ შეიძლება არ ქმნიდეს კულტურას, მას არ შეუძლია არ შექმნას თავის ირგვლივ ადამიანური, თავისი საკუთარი ბუნების შესატყვისი გარემო, მას არ შეუძლია ამ გარემოცვის გარეშე ცხოვრება, ეს არის მისი ელემენტარული მოთხოვნილება: განავრცოს თავისი ბუნება მთელი მისი სირთულით, გზა მისცეს მასში ჩაბუდებულ ენერგიას. სხვანაირად ის ვერ შეძლებს ადამიანურ არსებობას. არაფერი არ არის კულტურისა და ცივილიზაციის ელემენტებში ისეთი, რაც არ ესადაგებოდეს ადამიანის შინაგან სამყაროს, არ პასუხობდეს მას, არ იყოს მისი გამოძახილი. კულტურა მოცავს ადამიანური არსებობის ყველა სფეროს უკლებლივ - მასშია განფენილი ადამიანის ყველა უნარი, არც ერთი მათგანი არ არის დარჩენილი განხორციელების გარეშე. კულტურა დაფარულის გამოცხადებაა; ადამიანი, თუკი ის არ არის შვილი ამ კულტურისა, ამ კულტურაში უნდა ხედავდეს, ჭვრეტდეს თავის შინაგანს, თავის იმ არსს, რომელიც უხილავად და, ხშირად, გაუცნობიერებლად ძევს მის ბუნებაში.

თუ იყო ოდესმე ხანა კაცობრიობის ისტორიაში, ვიმეორებთ ზემოთ დასმულ კითხვას, როცა ადამიანი მოკლებული იყო კულტურული შემოქმედების უნარს, ვერ ჭვრეტდა თავის ორეულს, თავის სხვას, ნივთიერის სახით გაცხადებულს (მონახაზში, სიტყვაში, ბგერაში, შრომის იარაღში, ქცევაში, წესში...)? მაშინ ის იდგებოდა შიშვლად უკაცრიელი ბუნების წინაშე. მაგრამ, რაკი ადამიანი შეიქმნა ადამიანად, გონიერ (homo sapiens) და მარჯვე (homo faber) არსებად, ის "ერთი წამითაც" აღარ დარჩებოდა იმ მინიმუმის გარეშე, რომლითაც მასზე ადრე შექმნილ სინამდვილეს თავის ყოფიერებაში მოაქცევდა. ეს უმცირესი იქნებოდა როგორც დვრიტა, როგორც "მაწვნის დედა", რომლის მეოხებითაც უცხოობაში მყოფი არსება გარე სამყაროს თავის ბადეში გაკვალთავდა. ადამს სამოთხეში ის ტყავის სამოსელიც არ ემოსა, მაგრამ მისი შემოქმედებითი ძალი სამყაროს ადამიანურად ათვისებაში (ანუ გაკაცრიელებაში) შეიძლება განუსაზღვრელი ყოფილიყო. ადამიანის ბუნებიდან გამოდიოდა ისეთი ძალა, ხატი ღვთიური ძალისა, რომლითაც იგი, თავად მიკროკოსმოსი, ღვთის შექმნილ სამყაროში ახალ, თავის სამყაროს, კოსმოსს შექმნიდა. მას დახვდა მიწა, შორეული სახე მისი ხორციელებისა უსულო მატერია, და სიცოცხლე, განწვალებული თავ-თავის გვარისაებრ შექმნილ ხორციელ არსებებში. მიწა მას ჩაბარდა "დასამუშავებლად და დასაცავად" (დაბ., 2:15), ხოლო

ცოცხალი არსებანი საპატრონებლად. მიწათმოქმედება და მესაქონლეობა თავდაპირველად ნაკლებად ან სულაც არ ატარებდა უტილიტარულ ხასიათს, ორივე ეს სფერო საქმიანობისა იყო ჭეშმარიტად კუტუროგენური შემოქმედება თავისი, რამდენადაც დღეს წარმოსადგენია, წმინდა სახით. ხვნა და თესვა ისევე კულტურულ-რიტუალური ქმედება იყო, როგორც ცხოველთა მოშინაურება, პირველი უნდა გავიზიაროთ როგორც მცდელობა სიცოცხლის შემოტანისა მიწაში, "უსიცოცხლო" მატერიაში და არა როგორც საკვების მოპოვების ერთ-ერთი საშუალება. მიწათმოქმედების წარმოშობის რელიგიური თეორიის მიხედვით მოწეული მარცვალი მხოლოდ სიმბოლურად განასახიერებდა საკვებს, როგორც ძღვენს მიწისა, რომელსაც დედამიწა იძლეოდა. ის იყო საკრალური ქმედების ნაყოფი, რაც დადასტურებულია ყველა ძველ ცივილიზაციაში ან ცოცხლად (მაგალითად, ელევსინის მისტერიებში, საბერძნეთში), ან გადმონაშთურ, გაქვავებულ რიტუალად, ალაგ-ალაგ, ახალი დროის სამეურნეო ყოფაში. აქა აქვს ფესვი სემანტიკურ იგივეობას სამიწათმოქმედო და საღვთისმსახურო ლექსიკაში, რაც ზოგიერთმა ძველმა ენამ შემოინახა.

ხოლო ცხოველთა სამყაროსთან ადამიანთა ურთიერთობას რაც შეეხება, ადამიანს მის მიმართ უფრო მეტი პასუხისმგებლობა ჰქონდა დაკისრებული. ლაპარაკიც ზედმეტია საკვებად მათ გამოყენებაზე. ცხოველთა არსებობამ სამყაროში წარმოაჩინა ადამიანის შემოქმედებით უნარის განსაკუთრებული ასპექტი – მას მონაწილეობა უნდა მიეღო ცხოველთა ფსიქიკური წყობის დასაზღვრაში და ჩამოყალიბებაში. ეს იქნებოდა ღვთიური შემოქმედების გაგრძელება. ადამიანი იქნებოდა პირუტყვთა ჭეშმარიტი მწყემსი, ოღონდ სულიერი, არა მხოლოდ ფიზიკური აზრით. ამას გულისხმობს ის ადგილი ბიბლიაში, სადაც ადამს შესაძლებლობა ეძლევა თითოეული ცხოველისთვის მისი ბუნების შესატყვისი სახელის წოდებისა. ღმერთს არ დაუვალებია მისთვის ეს საქმე. ღმერთმა მხოლოდ მიჰგვარა ადამს ისინი, "რომ ენახა, რას დაარქმევდა". ღმერთი ელოდა ადამისგან მისი სულის ძახილს ამ ხორციელ სულდგმულთა ხილვისას, რადგან "რომელ სულდგმულ რას დაარქმევდა ადამი (გრძელდება თხრობა), მისი სახელიც ის იქნებოდა. და დაარქვა ადამმს სახელი ყველა პირუტყვს "(დაბ., 2:19-20). სახელის წოდება კი ფორმალური აქტი არ იქნებოდა, რადგან მას უძღვოდა ღვთის ქმნილებათა ბუნების შეცნობა ადამისაგან, სახელმდებელი გარკვეული აზრით, ხელახლა შემქმნელია არსებისა, რომელსაც სახელს არქმევს. თუ სახელდების ძალა ცხოველთა მთელ სამყაროზე არ გავრცელებულა, დაბრკოლდა თავად სახელმდებლის დაცემის გამო, დღეს მისი შორეული შედეგი თვალსაჩინოა შინაური პირუტყვის ჯოგებისა, ნახირისა და არვეთა სახით. ეს არის საზოგადოება, რომელიც ადამიანმა შექმნა და შემოიკრიბა თავის გარშემო.

დასაბამითვე ეს ორი სფერო იყო, სადაც ადამიანს მისთვის მიმადლებულ უნართა მანიფესტაცია უნდა მოეხდინა. განა ამის ნიშნად არ შეეძინა ადამს ორი ძე, რომელთა შორის საბედისწეროდ განწვალდა ერთი მთლიანი მოწოდება ადამისა? კაენი მიწადმოქმედთა წინაპარი იყო, აბელი – მწყემსებისა. ამ ორ, ერთმანეთისაგან ესოდენ განსხვავებულ ნიადაგზე არის ამოზრდილი დღესდღეობით ცნობილი მსოფლიო ცივილიზაციები და ცალკეული კულტურები; და ბუნებრივია, რომ მათი ნიშანდობლივი, ძირეული სიმბოლიკა და მსოფლმხედველობრივი კატეგორიებიც ამავე ნიადაგზე – ყანაში და საძოვარზე აღმოცენდა.